



შინაარსი: ინგლისის დედოფალი ვიქტორია.— ბანი ველიჩკო და მისი აზრები ერობის შემოღებაზე გ. წერეთლისა.— სხვა-და-სხვა ამბები.— ზემოთ სიტყუაობის საერო ფონდის საქმე ან. წერეთლისა.— ჩემი სიმღერა, ლექსი ბ. დავითაშვილისა.— აგვადის* კორესპონდენცია.— პროვინციის ვითარება (შემდეგი) პროვინციელისა.— პასუხი ბან იაკობ გოგუბაშვილის ალ. ნათაძისა.— ქუედი, მოთხრობა (შემდეგი) დ. თომაშვილისა.— ზოგიერთი ცუდი თვისებათა მებარეშეშევა პირველ ამხანაგობის წარმოებაში, (შემდეგი).— პასუხი ბან გ. თავართქილაძეს გონა ჯიზიაშვილისა.

№ VI „ჯეჯილის“ გამოვიდა და დატურიგდა ხელის მომწერლებს.

„აგვადის“ და „ჯეჯილის“ ხელის მომწერლებს მოვავანებთ, ვისაც ფული არ შემოთუტანია, ვთხოვთ შემოიტანონ 1 ივლისამდე.

ინგლისის დედოფალი ვიქტორია.



ინგლისის დედოფალი ვიქტორია.

მ თვეში ინგლისი დღესასწაულობს თავისი დედოფლის ვიქტორიას სამოცი წლის მეფობას. ვიქტორია დაიბადა 1819 წელს. ტახტზე ავიდა იგი თავის უშვილო ბიძის ეილჰემ მე-IV სიკელის შემდეგ, 20 ივნისს, 1837 წელს. მისი მეფობა მრავალ გვართ არის შესანიშნავი. მის მეფობაში შესამჩნევია გააღიერდა ხალხის, დემოკრატიის ძალა. ინგლისი ეკუთვნის იმისთანა ქვეყნებს, სადაც მეფე თავის ძალას ხალხს უზარებს, ესე იგი, სახელმწიფოს მართვაში, კანონების დადგენაში მონაწილეობას ღებულობს თვით ხალხი თავის წარმომადგენელების შემწეობით. ამ წარმომადგენელთა კრებას ჰქვია პარლამენტი, აშკარაა, თუ ვინმეს რაიმე ძალა უნდა იქონიოს, უნდა ეცადოს რომ პარლამენტში თავისი მომხრეები გაატაროს. სწორედ ამ გზას დაადგა ხალხი ინგლისში. 1838 წელს, ეკრეთ წოდებულმა ჩარტისტებმა მოითხოვეს საყოველთაო საარჩევანო უფლება, ფარული კენჭის ყრა და სხვა. 1839 წ. იმათ შეპყრიბეს ლონდონში ერთგულნი



კონენცია, რომელშიაც უმეტესათ მონაწილეობას ღებულობდენ მუშები. მათ მიართვეს პარლამენტს თხოვნა, რაშიაც ამბობდენ, რომ ჩვენ მოგვენიჭოს შეძლებულბეთან ერთათ ქვეყნის მართვის უფლებაო. პარლამენტმა ჩარტისტების თხოვნა არ შეიწყინარა. მაშინ ისთ განიზრახეს აჯანყება, მაგრამ მთავრობამ ძლია იხინი და მათი წინააღმდეგობა სასტიკათ დასაჯა; მიუხედავთ ამისა მათი მისწრაფებანი უწყაო-ფოთთ არ დარჩა. 1867 წელს გლადსტონის მეცადინეობით პარლამენტმა შეიწყინარა კანონი, რომლის ძალით საარჩევნო უფლებება ვაჟართოვდა და მიეცა ქალაკ-ს მუშების უმეტეს ნაწილს არჩევნებში მიღების უფლება. 1884 წელს გლადსტონმა კიდევ ახალი კანონი მიადგინა პარლამენტს. ამ კანონით საარჩევნო უფლებება სოფლის მუშებსაც ერგო, ასე რომ დღეს ინგლისში მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი აღჭურვილია პოლიტიკური უფლებებით. ამ კანონის დამატებთ უნდა ჩაითვალოს 1872 და 1885 წლის კანონები, რომელთა ძალით შემოღებულ იქმნა ფარული კენჭის ყრა და მთელი ინგლისი დაიკო დაახლოებულთ თანასწორ საარჩევნო მარტებთ.

ადგილობრივი თვით მართველობაც შესამჩნევათ განვითარდა ვიქტორიას მეფობაში. 1888 წელს სრულიად გადაკეთდა საგრაფოების მართველობა. ადგილობრივი საქმეების წარმოება ჩაბარდა საგრაფო ხაზქოს, რომლის წევრებთა ამორჩევამი მონაწილეობას ღებულობს ყოველ ხარჯის გადამხდელი მკვიდრი, აგრეთვე ხალხის გემოზე მოიწყო სათვლის სამართველობა. ასეთმა ხაზისი ძალის გაძლიერებამ გაპოიწევა განათლების განვითარებაც. უწინ განათლებამხოლოთ სასულაგრო წოდების ხელში იყო, მაგრამ შემდეგ საერო სკოლა უფრო გაძლიერდა და დღეს თითქმის ინგლისის ყველა კუთხეში არის უფასო და საყვალდებულთა განათლება.

ვიქტორიას მეფობა შესანიშნავთა ახალშენების მოწყობაშიაც. თუმცა ინგლისს აბრალდებენ მეტის-მეტს სიმკაცრეს, მაგრამ ამის ლაზარაკი არ უნდა, რომ სადაც ინდუსტრიალმა შედგა ფეხი, იქ დამყარდა უკეთესი წეს-წყობილება, განვითარდა მრეწველობა, ამაღლდა განათლება და სხე. ინგლისის ახალშენებს, გარდა ინდოეთისა, აქვთ თავისი პარლამენტი და თავის სურვილზე მართვენ თავის სამშობლოს. ჩასაკვირველია, ყველა ეს წარმატება ვინმეს ქველ-მოქმედებათ კი არ არის; იგი შედგება ბრძოლისა და ისიც ბრძოლაა, იქ ხომ ყველა გამარჯვებული იერ იქნება. დამარცხებულთა და დამარჯულთა გუნდში დღეს ურევია გულდაკოდილი ირლანდია. ირლანდიის გაჭირებება ყველას მოეხსენება; ბერკამ მისმა მკვიდრმა თავისი სამშობლო

დასტოვა და გადატეწეწა ამერიკაში. მაგრამ სამშობლოს სიყვარული იქაც არ ტოვებს მათ. დღეს ირლანდიელებმა იქ შეადგინეს მთელი ჯარი, რომელიც უცდის კეთილ შემთხვევას, რომ გადავიდეს ინგლისში და თავისი სამშობლო გამოიხსნას გაჭირვებისაგან. თავის უკმაყოფილებას ირლანდიელები ყოველ შემთხვევაში აცხადებენ. ამას წინთ ირლანდის ხალხის წყარომადგენლებმა განაცხადეს პარლამენტში, რომ ჩვენ დღესასწაულობაში მონაწილეობის მიღება არ შეგვიძლიაო. მიუხეზათ კი ის დასასულებს, რომ ამ სამოცი წლის განმავლობაში ჩვენ ხალხს განსაცდელის მეტი არაუფერი გამოუვლდაო; ხალხი შიმშილისაგან სულს ღვეს და თქვენ მზიარულბებს გვეკეთათო. თვით ირლანდიაშიაც ხალხი უკმაყოფილებას მით აცხადებს, რომ მართავს სამკლოვიარო დემონსტრაციებს. თუმცა, ჩასაკურველია, არა ერთი ლაკა მოიპოვება ვიქტორიას მეფობაში, მაგრამ მიინც მის დროს ინგლისმა შესამჩნევთ წაწიწა წინ ყოველ მხრივ და დაადგა დემოკრატიულ გზას.

ბატონი ველიჩკო და მისი აზრები ერთბის შემოღებაზე.



ნი ველიჩკო ძალიან საინტერესო კაცი განდ ჩვენთვის. ჯერ კიდევ კავკასიაში არ მოსულყო, რომ ჩვენ მისი ამავე ვეხიროდა.

იგი თანა უჭრძინობდა აღმოსავლეთის პოეტურ ნაწარმოებს ლსხვათაშორის გვეუბნებოდენ, რომ ქართული პოეზიის ნაწარმოებიც მოაწონსო. ჩამდენამე ლექსი კიდევ გადათარგმან მან აკაცი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძისა. ბოლოს ჩვენ წავიკითხეთ რუსულ ენაზე კარგი ნიშთ და კარგი ლექსით გადაღებული ვრცელი დრამატული პოემა აკაცისა „თამარ ცხივრი“, თარგმნილი სიტყვა-სიტყვით თვით აკაცის მიერ და გადაღებული ლექსათ ბ-ნ ველიჩკოსაგან.

ამ გარემოებამ გააღვიძა ჩვენ ქართველ ინტელიგენტთა შორის სიყვარული ბ-ნ ველიჩკოსადმი, როგორც ისეთი რუსის მოღვაწისა, რომელსაც ჰსურდა დაახლოებოდა ქართველებს გულთით და გონებით და დეახლოებინა ამასთანავე მთელი რუსეთის ინტელიგენცია ქართველ ერთან, მხოლოთ იმ განზრახვით, რომ ნამდვილი საქართველოს ერის გულის პასუხი შეეტყობინებოთ თავის ერისთვის მტკიცე ძმობა-ერთობა დასამყარებლათ: როგორც პოეტი ამბობს,

„გულს გული იცნოს და დონეს დონე,

შენდე გავიყო შვეპა და ლსენსა“.

ჩვენც ამ იმედით დიდი აღტაცებით მივევგებეთ ბ-ნ ეელიჩკოს მოსვლას კავკასიაში.

წარველ მის ჩამოსვლაზე ქართველმა ინტელიგენციამ გაუმართა სადილი; ბევრი რამ საკრძობელო წარმოითქვა ამ ნადიმზე შესახებ ძმობისა და ერთობისა. ბ-ნმა ეელიჩკომ სიხარულის ცრემლებიც ბევრი დაღვარა. ჩვენც, რასაკვირველია, ქართველური გულმარტივობით მივევგებეთ და გადაწყვიტეთ, რომ თუ ეს კაცი ჩვენ ქვეყანაში დამკვიდრდა სამუშაოთ, უეჭველია, ბევრს სიკეთეს დანერგავს ჩვენი და რუსეთის მიწინავე დასის დახლოვებით; აღძრავს გულდანდობას ჩვენზე და მას შემდეგ უმაღლეს მთავრობასაც მიზეზი მიეცემა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ჩვენ შინაურ მართვა-გამგეობას, სამართლის ნაკლულევენებას და ჩვენშიაც სვესებით შემოიღოს ცხოვრების გამაუმჯობესებელი ცვლილებანი, რაც შემოღებულია შიგნით რუსეთში, როგორც მაგალითით, ერობა, ნაფუც სამართალი და საქართველოს ერის ბუნებებსა და მისი ისტორიული განვითარების შესაფერის სკოლა და განათლება. მართლაც ჩვენ გეჭიროდა ისეთი გულმართალი და ჩვენს გულში ღრმით ჩამხედველი განვითარებული რუსის მოღვაწე, რომელსაც უნდა მიეწოდინა უმაღლეს მთავრობისადმი და რუსეთის მოწინავე დასისადმი ჩვენი თავდადებული ერთგულება და ჩვენი კულტურული მისწრაფების მიუტოლებელი დკამყოფილების სურვილი.

ასეთ კაცათ ეხედვდით ჩვენ ბ-ნ ეელიჩკოს, როცა იგი შეიქნა ადგილობრივი მთავრობის ვახუთის „ИВАНЪ“-ის რედაქტორი. ყველას უხაროდა ამისთანა კაცის მოსვლა ჩვენში; ზოგერთი ჩვენი ქართლ-კახეთის გულმარტივნი მოღვაწენი აღტაცებაში იყვნენ და ქართველური სიმატრიეით ყოველსავე თავის გულისხასუსს, როგორც შინაურ კაცს, ისე უტყდებოდნენ მას. ბ-ნი ეელიჩკოც, რასაკვირველია, მათ სამაგიეროს უხდიდა, ესყვარულებოდა, უმეგობრდებოდა, რომ რაც შეიძლება ბევრი მოესმინა მათგან და ბევრიც შეეტყო.

რაკი ბ-ნ ეელიჩკომ იგღა ხელში მთავრობის ვახუთი, მერე აღარ დააყოვნა თავისი აზრების გამოცხადებაც, ჩვენი გულმარტივნი მეთაურნი სიხარულისაგან აღარ იყვნენ ბ-ნ ეელიჩკოს ორ აზროვანი და ორკუთიანი ქდავებისადმი მით უმეტეს, რომ მას მუდამ ენაზე ეყრა ტკბილი მოსასმენი სამეგობრო ღწინანის“ სალილინო სიტყვები ძმობისა, ერთობისა და სიყვარულისა.

მაგრამ როდესაც ჩვენ ცნობილს მეთაურს მოესმა ბ-ნ ეელიჩკოსაგან: მე ვარ მტერი თქვენი მტერ-მეზობ-

ლისაო, მას აქეთ მშვიდობით! ვახდა სამხედრო ხმა ბუკ ნალარისა, აღიჭურვა ჩვენი ცნობილი დიდი ხნის მეთაური სამხედრო იარაღით და ბ-ნ ეელიჩკოს მიერ წაქეზებულმა მიიტანა მძულეარების ჩამომცდები იერიში მტერ-მეზობელთან, ასე ვკოწა, ეს არის მას ბ-ნ ეელიჩკოს მეოხებით ცხრა მთას იქით გადაკარგვენო და ბურთით და მოედანი ჩვენ, ქართველებს, დავგრჩებოდა. მაგრამ მოხდა მეტათ სამწუხარო ამბავი, არამც თუ ჩვენ ვერაფერ ვადავრეკეთ, თვით ჩვენვე გამოვიდვენო, ხოლო ბ-ნ ეელიჩკოს მეოხებით გამხზბარი ჩვენი მეგობრები კი ღღეს ჩვენ მტერ მეზობლებთან დასდნენ ცხოვრების მეჯლინეში და ბ-ნი ეელიჩკო ახლა კრინტსაც აღარ იღებს ჩვენი მოკავშირეების განსაქქებლათ. აღბათ კაცშირი დროებით ყოვილა საჭირო.

დავკრჩა ხელში სანუფეშოთ მხლოთ ბ-ნ ეელიჩკოს „откровенныя рѣчи“, რომელშიაც იგი მეგობრულათ გვიქადავებს სამხებთან ბრძოლას, მათთან დაუფლობლობას, გვეგონება ქართული ერის განუთართარებლობას, ამ ენაზე მეცნიერების მოუფერხებლობას, მის დროებითს არსებობას, სახელმწიფო ერის სიმკვიდრეს და ამ ენაზე კოდნის მოპოვებას, ამ ერის ძვალსა და რბილში გაჯღამას, მის მკვიდრათ შეთვისებას და იმის ნიადაგზე საკუთარ ბედნიერების აგებას. ასეთი მეგობრული სურვილებათ არის ჩვენ შესახებ გამსჭვალული ჩვენი მეკობარი ეელიჩკო.

განსაკუთრებით შესანიშნავია მისი უქანასენელი მეექვსე სტატია „Откровенныя рѣчи“-სა, სადაც იგი უარსკჳფს ერობის შემოღებას თფილისის გუბერნიაში. საჭიროა ეცოდეთ, რა საბუთები აქვს ამ ჩვენ კეთილ მეგობარს მხედველობაში, რომ ერობა არ შემოიღონ ქართლ-კახეთში. ბ-ნ ეელიჩკოს აზრით, ერობა ჩინებული დაწესებულებაა; ბევრი ნაკლულევენება რომ ქმნიდესოა მას, მართო ის რათილის, რომ ერობა იწვევს საზოგადო ასარგებზე მთელი საზოგადოების ძალას, სადაც საუკეთესო გონების და განვითარების მექანე მოღვაწეებს შეუძლიათ საესებით ენახებოწან თავის ქვეყანას, თავის ხალხს და აჩვენონ შესაფერი სარგებლობაო. მაგრამ თუილისის გუბერნიის მცხოვრებთათვის ერობის შემოღება უადგილო და საშიშიაო. თფილისის გუბერნიამ ერობას ნიადაგი არა აქვსა. მიზეზი ასეთი შეხედულებისა ბ-ნ ეელიჩკოს ცხდათ ვერ გამოუთქვამს, ღობე ყორეს ედება, თითქმ-ს არ უნდა გამოტყდეს, რომ ნამდელია გულის დაფარული არ გამიხშილდესო. ხან ქებას ასამს თ. გ. ორბელიანს მჭევრმეტყველური მოსაზრებისთვის, თითქმ-ს ცდილობს გველენიან ქართველებთან ხიდი არ ჩაუტყდეს, ხან ვითამც ყურჩება მის ბნელით მოცულ აზრს, რომ ახალგაზღო-


ბამ იგი სულ რეტორგრაფებში არ ჩათვალის; მაგრამ ბოლოს მინც ამ ოღობა-ჩაღობა სიარულში ის აზრი გამოსკვივის, რომ ქართლ-კახეთისთვის ისეც ის ჯობია, აღმინისტრატოულ ანკაში დარჩეს იმდრომდის, სანამ ყველა გლეხი და აზნაურა, ერთი და მღვდელი, სოფელი და მოქალაქე ზედმიწევნით არ შეისწავლიან რუსულ ენას და ერობის სხლომეგზე რუსულ-ენაზე არ იქნება ბასი და საქმის წარმატება. მაგრამ თუ ჩვენ იმას ვუყურეთ, სანამდის მიუჩუმებულ ალაგებში მცხოვრები თავად აზნაურობა და გლეხობა არ შეისწავლიან რუსულ ენას, სანამდის ყოველი მთიული არ დაიწყებს რუსულათ ლაპარაკს, და თუ მანამდის არც ერობა მოგვეცა, არც ნაფიცო და ამორჩევიანი სასამართლო, თუ სკოლაჲ ძველ ნიადაგზე გვექნა და ჩვენი ბუნების შესაფერათ არ გადაკეთდა, მაშ სულ აღარა გელირსებია. მაშ მადლობის მეტი რაღა გვეთქმის ჩვენი გულწრფელი მეგობრისადმი.

მეორე უმთავრეს მიზეზს ერობის შემოუღებლობას ჩვენში ბ-ნი ევლიჩკო იმას ასახელებს, რომ საქართველო ძველათგანვე რაინდულ-ფეოდალურ წეს-წყობილებაში აღზრდილა და ამგვარი თვისების ერთი აღმინისტრატოულ წეს-წყობილებას უფრო ივერებს და ჰკუბსო, ვიდრე ეროვნულ, ამორჩევითს გამგეობასაო.

მესამე მიზეზს ერობის მოუხერხებლობას საქართველოში ბ-ნი ევლიჩკო ასახელებს ხალხის ფიცხასათს, სისხლმჩქევაზე ზნეს სამხრეთის ხალხსას, როგორც არიან კავკასიის მცხოვრებნიო.

განა იტალიელები, ფრანგები და ისპანელები რაინდულ-ფეოდალურ წესწყობილებანი არ ყოფილან ისტორიულათ ვატარებულნი, ან ისინი საქართველოზე უფრო სამხრეთით არ ცხოვრებენ, ან ქართველებზე უფრო ფიცხნი და სისხლმჩქევაზე ზნისანი არ არიან? მაშ იმათში ეროვნული დაწესებულება სულ არ უნდა ყოფილიყო მოხერხებული. მაგრამ ჩვენ არს ესედავთ? ყველა ამ ქვეყნებში და ერებს-შორის ეროვნული დაწესებულებანი უკიდურეს წერტილამდის არიან განვითარებულნი. ერთი თავს ამორჩეულებას საშუალებით განაგებს თვის საქმეებს და აღმინისტრატოს იქ ბევრი აღარა ეკითხვის რა ის არის მხოლოდ დაყენებული მყუდროების და წესიერების დარაჯათ; ერთი კი ერობის საშუალებით განაგებს ყოველსავე თავის შინაურ საქმეებს. იქ, იმ ქვეყნებში ერის წარმატება პირდაპირ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენათ განვითარებულა ეროვნული საქმის წარმოება. თვით ლუსეთშიაც, საცა კი ერობა დაარსებულა, იმ გუმბირიების კეთილმდგომარეობა ერთი ორათ უკეთ წარმატებულა ერობის მოქმედების წყალობით. მაშ რაღა ჩვენში გახდა შეუძლებელი ისეთი დაწესებულება, რომელიც სხვა ჩვენზე უფრო დაწინაურებულ ქვეყნებში ყოველგან ბედნიერებას და კეთილმდგომარეობას ამკარებს. ამ საიდუმლოების გამოცნობა ჩვენს მეგობარს ევლიჩკოს უნდა ეკითხოთ. ხოლო ის საბუთები რომელიც, მას მოჰყავს იმ აზრის დასამტკიცებლათ, ე თომც ერობის შემოღება უფრო ადრე იყოს ჩვენთვის, ყოველ სიმართლეს მოკლებულა, როგორც თვით მკითხველი დაინახავს ამ ჩვენ სტატიაშიც.

გ. წერეთელი.



სხვა-და-სხვა ამბავი.



აკასიის მთავარ მართებლის ბრძანებთ ბორჩალოს მახრის უფროსი თავ. სუმბათაშვილი დათბონილ იქნა სამსახურიდან.



ქალაქის თავის მოადგილემ მოახსენა გუბერნატორს, რომ სამეურნეო სასწავლებლის დასაარსებლათ ქალაქი მიუღდება ხარჯში და საქირო მიწასაც დაუთმობსო.



ამ დღეებში თულისას საბარეშუმო სადგურის შერობაში დაიწყება ლექციები მეფუტურების და აბრეშუმის მოყვანაზე. სოფლის მასწავლებლები ზოგი ერთი კიდევ ჩამოსულან ამ ლექციების მოსასმენათ.



ქუთაისის საბჭოს საქმე, შესახებ საგარის აგარაკისა, მოგვაგონებს აქაურ ნაძალადევის საქმეს. იქაც დაუსკუთრებიათ იჯარით აღებული ქალაქის ადგილები და შერობები აუჯათ. ქალაქს უჩივლია, საქმე მოუგია და ახლა მხოლოდ უნდა აპაროს დასახლებულები. ხმონუნთა საბჭოს უკანასკნელ სხლომაზე მათი აყრის თაობაზე არაფერი განიზნება არაუღვენია და საქმე სექტემბრისთვის გადაუღვია.



ახალციხის მაზრაში გამიჯრენს თაობაზე ატენილი დავიდარაბა თითქმის გათავებულა, ხოლო ორიოდ საქმე დარჩენილა და ისიც ეწყინისთვის მდგეს გარჩევა.

* *

გაზაფხულს ყოველთაის სეტყვას უჩივიან, ყაზახის მაზრაში ისეთი სეტყვა მოსულა რომ ბევრი სოფლები დაუზარალებია.

* *

თფილისის მეორე კლასიკურ გიმნაზიაში წელს დაამთავრეს სწავლა 24 ყმაწვილმა, მათ შორის 5 ქართველია. ოქროს მედალი მიუღია ალ. თუმანიშვილს.

* *

წელს რეალურ სასწავლებელში გაათავა 22 ყმაწვილმა. იმათ შორის არც ერთი ქართველი არ არი.

* *

უმაღლესი ბრძანებით ხაზინიდან მიეცემა ქალაქ ფოთს ათი წლის განმავლობაში, 1 იანვრიდან 1898 წლისა, პოლიციის შესანახავათ: პირველ წელიწადს 5,500 მ. და შემდეგ ყოველ წლივით მოაკლებენ ხოლმე 550 მან.

* *

ქალაქ კავკასიის მეცადინებამ, რომ გამართოს პოლიტექნიკური სასწავლებელი, მგონი რომ ფუტკით ჩაიაროს: რომელ ქალაქის საბჭოსაც კი მ მართეს შემწეობის სათხოვნელათ ყველამ უარი უთხრეს; ზოგი მიზუნათ უფულობას ასახელებს, უფრო მეტნი კი ამბობენ რომ მაგ გვარი უმაღლესი სასწავლებელი უფრო შეშენის ქ. თფილისს, როგორც კავკასიის შუა გულ ქალაქსა.

* *

ამ ზაფხულს კავკასიაში აპირებს ჩამოსვლას გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი.

* *

თფილისის გუბერნატორის თავ. შარვაშიძისკან მოუყვდა ქართველთა შორის „წერა-კითხვის“ გამარტყლებელ საზოგადოების გამეგობას ნება რთვა ახალციხის მაზრის სოფ. უღაშში სამკითხველოს გახსნისა, იაკობ მკრანაძის პასუხის მგებლობით.

* *

ქუთაისის სათავად აზნაურო სკოლის ინსპექტორმა ს. ლოდებრიძემ თავი დაანება სამსახურს და მის მაკერათ ქართველთა შორის „წერა-კითხვის“

საზოგადოებამ ამოარჩია თფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელი ალ. გარსევანაშვილი.

* *


უმაღლესის ბძანებით 1898 წლიდან მიეცემათ ყოველ წლიე, საერობო გადასახადიდან, ყვეილის ასაკრელათ კავკასიაში 9,420 მან.

* *

სოფ. ყვარელის (თელავის მაზრის) მცხოვრებს თავ. გიორგი ჭეჭვაძეს თავის მამის თავ. გიორგი მელქისედეგის ძის ჭეჭვაძის მოწამლე განუზრახავს, ჩიში საწაწლეი ჩაუტყეია და მიუტანია მამისათვის, მაგრამ მამას შეუტყმნეფია და აღარ დაუღეეია ჩი. და მნაშაე შეუტყრიათ და თელავის საპყრობილეში დაუბატონრებიათ. თ. გ. ჭეჭვაძემ 1-94 წელსაც იყო გასამართლებული და ციხეში იჯდა გლეხის სეფა-შეოლის მოკვლის გამო. („ივერია“).

* *

როგორც ჩანს პოლიციმეისტერას ანგარიშებიდან თფილისში ყოფილა მცხოვრებელი 1896 წლის ვასულს, სულ ორიეე სქეს-სა 160,645 სული, ამათგანი 96,096 მამაკაცი და 64,549 დედაკაცი. ამათში ქართველი ყოფ-ლა 23,486 მამაკაცი ო 16,843 დედაკაცი. რუსები 13,588 კაცი და 10,582 ქალი, ოსი: 1,271 კაცი და 782 ქალი, ბერძენი: 606 კაცი და 265 ქალი, პოლშელი: 1,686 კაცი ო 1,028 ქალი, ნემეტი: 1,388 კაცი და 1,052 ქალი, სომხები: 33,545 კაცი ო 26,523 ქალი, თათარი: 2,121 კაცი და 1,287 ქალი, აისორი: 1,712 კაცი ო 506 ქალი და სხეა.



ზეპირ სიტყვაობის საერო ფონდის საქმე.



ურნალ „კავლის“ მეოხებით, 1895 წელს, აკაცი წერეთლმა დაიწყო ფულის მოკროეება, ზეპირ სიტყვაობის საერო ფონდის დასაარსებლათ, საზოგადოება დიდი თანაგრძნობით მიეგება ამ საქმეს და მაშინეე კომიტეტუტ შედგა შემდეგი პირებ-საგან: თფითონ აკაცი წერეთელი, დეკ. დ. ლამბაშიძე, გ. წერეთელი, ა. გარსევანაშვილი და ექიმი. იე. ელიაშვილი. შეკრებილი ფული, ას თუმანდის, ინახებოდა სარკებლით ზანკში. ახლა შემოხსენებულ-

მა ზეპირ-სიტყვაობის გამოე კამიტეტმა დადგინა შემდეგი:

ზეპირ-სიტყვაობის ფონდის კამიტეტის დადგინება.

1897 წ. ივნისის 15-ს დღეს, ჩვენ ქვემოთ ამის სულის მომწერლთა, კამიტეტის წევრთა, მოვისმინეთ განცხადება თ. აკაკი წერეთლისა, შემდეგი შინაარსისა: კამიტეტის წევრებმა იგივე კარგათ, რომ 1895 წელს გამოცხადდა მე, რომ შეკრებილიყო, ზეპირ სიტყვაობის საბუქდავით შემოწმებულანა, კეთილ-მსებულ პირთაგან და ეს განცხადება დიდის თანგწმნობით იყო მიღებული საზოგადოებისაგან. ან გუგულისა დიდხანსა, რომ ფულებსი გზავნა დაიწვეს ჩემ სსსლსზე, იმ მიზნით, რომ ეს ფულეო მიმეღო და მომისმარ გამოცხადებულ სკანის სასარგებლოთ, ჩემი შესჯდულებასმებრ. ვინაიდან იმ დროს მე საკუთარი რეაქციას ან შქონდა, ამისათვის, იმულებული ვეყუბი შეწირველებსათვის მიმეთითებია აკვალის რეაქციისადმი. დღემდის ამ კარგი შეწირულეზა მიდიდა აკვალის რეაქციას და, რასაკვირველთა, ამ რეაქციას აქვს შენახული.— დღეს, რადგანაც მე ჩემი გულის სანატრელი ამისრულდა და საკუთარი რეაქცია მჭკეს, ჟურნალის აკრებულისა, რომელშიაც განსაკუთრებული განყოფილებაა ზეპირ-სიტყვაობის საბუქდავით, მთავრობისაგან ნება-დართული, ამისათვის ვითხოვე, რომ შეკრებილი, ამ საგნისთვის, აკვალის რეაქციადან გადვეს აკრებულის რეაქციას.

თანხმით ამ განცხადებისა, ჩვენ კამიტეტის წევრთა დაჯდენით შემდეგი: შეკრებილი ფულეო ზეპირ-სიტყვაობისა, რომდენიც არის, გადვეს აკრებულის რეაქციას, აკვალის რეაქციისაგან. ამისთანვე რაოდენობა ამ საგნისთვის შეკრებილი ფულისა, შემოწმებულთა სითურთ და აგრეთვე დანახარჯი ფულისა, აღნიშნით დაიბუქდეს, როგორც აკრებულის ბირველ ჟურნალის № 26-ში, აგრეთვე სხვა ადგილობრივ გაზეთებშიაგ.

თავადმარე კამიტეტის დეკ. დ. დამასშივე.

წევრნი კამიტეტის. { ალ. ალ. ვასსევანსვილი. თ. აკაკი წერეთელი. ვახუშ. კლავდიის

წერადლობით მინდობილობით სულის გაწერ დეკ. დ. დამასშივე.

ამ დადგინების ძალით აკვალის რედაქციამ ცნა თავის თავი მოვალეთ ვადაცა ერთ ერთ კამიტეტის წევრისთვის, სახელდობ ალ. გარსევანსვილისთვის, როგორათუ ანგარიში ყოველი შემოწმებული ფულეობისა, ისეც ფულის სარგებლისა, მოხდენილი ხარჯის გამოორიციეით. ვაუწყებ რა ქვემო მოყვანილ ანგარიშს საზოგადოებას, დღეის იქით ეთელი ჩემ თავს ვათავისუფლებულს ყოველ პასუ-

ხის-გებინდან, შესახებ ზეპირ-სიტყვაობის საერო ფონდისთვის შეკრებილ ფულისაგან. ექვი არ არის, რომ თითონ ბ. აკაკი წერეთელი, კამიტეტზე უფრო კარგათ გაუძღვება ამ სამხიო საქმეს და ნაძლიელ გზას მისცემს იმ გროშებს, რომლებსაც ის გულ უხვით იმეტებდენ შემომწირველნი.


აკვალის რედაქციაში შემოვიდა 1895 წლიდან შემოწმებული ზემოხსენებული მიზნისთვის მოგროვილი შემდეგი პირებისაგან:

1 ელ. აბრამიშვილისაგან	14 50
2 ბუხარადან: ე. ბახტაძისაგან	70 —
3 ქუთაისის ნოქრებ. (გამოგზ. ლალიძისაგან)	52 —
4 ფოთის ახალგაზღვრებისაგან	31 —
5 ბათუმიდან: (ა. ლ. მელიასაგან).	45 —
6 მასკოველ ქართელ ახალგაზღვრებისაგან	20 —
7 ბათუმიდან: ლ. ბერძენიშვილისაგან	13 —
8 ჭიათურადან: ბეს. კაპანაძისაგან	2 —
9 ცხე-კულშიდან: პაპაპოლიკ ბერძინსაგან	10 —
10 კეკელიდან: თანაშემოსლისაგან	66 —
11 ყვირილიდან: ალ. წულუკიძისაგან	3 —
12 საჩხერადან. ქაბ. ქავთარაძისაგან	26 70
13 ირკუტსკიდან: ი. შერკვილიძისაგან	100 —
14 კოსტანტინოპოლ: იასე რაჭველისაგან	50 —
15 ვანჯიდან: ს. დოლიძისაგან	40 —
16 ყვირილიდან: ვიქ. ვაჭილიაძიდან	18 —
17 შორაპნიდან: რაჭ. ვაჭილიაძისაგან	21 —
18 თბილისში: კარე ტურიაშვილისაგან	1 —
19 დიდსტრინიდან: მიხ. ქ. ბაქრაძისაგან	186 50
20 თბ. რენ. გზის მოსამხა. პირებისაგან	37 40
21 ბეს. კაპანაძისაგან ქუთაის. მოგროვილი	38 —
22 შემახიდან: სალარიძისაგან	2 —
23 დილიჩიდან: ტ. ინასარიძისაგან	42 —
24 ხობიდან: ძორენიძისაგან	6 50
25 თბილისი: ალ. ევსკოპოსისაგან	100 —
26 ახალ ბაიანეთიდან: ზედგინიძისაგან	16 —
27 ექვ. თაყაიშვილისაგან	5 —
28 სულხმიდან: ივ. ბურჭულაძისაგან	26 —
29 ზაზუგეთიდან: ე. ქვიანიძისაგან	10 40
30 ელ. ყიფიანისაგან	3 —
31 დუტუ მეგრელისაგან	10 —
32 ყვირილიდან: დეკ. დამასშიძისაგან	15 —
სულ	1081 50

მან. კ. სარგებელი . 55 —
*)ჯამი . 1136 მ. 50

ამ ფულიდან დაინარჯა სხვა-და-სხვა ზეპირ-ვალ-მოცემების დოკუმენტების შესაძენათ, „სოლომონ მეფის“ ხელ-ნაწერის შესაძენათ და დასბეჭდათ, აგრეთვე სხვა წერილობანი ხარჯი - სულ 187 მან. 83 კაპ. ამ ხარჯის გამოკლებით ფული 948 მ. და 67 კ. სრულად გადაეცეო კამბისის წყერს ალ. ვარსკვლავაშვილს თ. აკაცი წერეთლის გადასაცემათ.

„აქედის“ რედაქტორი ან. წერეთლისა.



ჩემი სიმღერა.

(ეუძღვნეი ევა-ფშველას)



გეტარება მას, ვისაც მადლიდან ესმის ტკბილი სმა, ნანა ციურა, ვის გულს აშუქებს ნაზი იმედი, მტკარსხლებული სსივი ღვთაოური.

ნეტარება მას, ვის გულსაც სკურა გაცობილობის მომავალი და გამსჭვალულს ამა იმედით მიმართული აჭეს მისკენ თაღია...

ნეტარება მას, ვისაც აჭეს ნიჭი, მომადლებული მალაღ განკებით: სთრგუნაგს თვის გულში ნადგულს, ვარამს და თან ჩანგს აუღერს ტკბილი ჭანკებით...

იყო დრო, როგა ჩემი გონება იმედით სწობალს ერწმუნებოდა და გატაცებით ჭკმობრტების „მესსიის“ მოსვლას ელოდებოდა...

*) ამ ანგარიშში არ არის ნახსენები: დ. ბაქრაძისაგან 50 მან, უგარდიდან 20 მან., თ. გრიგოლ წერეთლისაგან ნახანდრეპეი 200 მან., რომელიც აქვალ-შია. იყო მოსხენებული და რედაქციას ეი არ მიუღია. აგრეთვე არ არის მოსხენებული სოლომონ მეფის წიგნაკის შემოსავალი, რადგან ცნობაში არ არა მოყვანილი რ მდენია გაეიდული.

ან. წერეთლისა.


მამინ ჩემს უფრსაც „რცოური სმეპა“ ტკბილი ჭანკებით ეუფრებოდა და დაჭრილ გულსაც, როგორც ნეტარი, მალამოსავით ესუსრებოდა.

მეგრამ წვაიდა ის დრო ნეტარი... განქრამ ჩემთვის და აღარც მოეა!.. სნაგეოროთ გულმა მოკლულმა უიმედობა, ნადგული ჭმოვა...

და აღარ ჩემს უფრს „რცოური სმეპიტი“ აღარ მოესმის—არის გრულია: კეთა უმართლო ტანუვა-გუბის გამეშინავი. ხმით მიღვით დასმულია...

ნეტარება მას, ვისაც მადლიდან ესმის ტკბილი სმა, ნანა ციურა, ვის გულს აშუქებს ნაზი იმედი, მტკარსხლებული სსივი ღვთაოური...

ბ. ღვთაოშვილი.



„კვალის“ კორესპონდენცია.



სიდაურა. (ოზურგეთის მახრა) აქაური მცხოვრებნი დიდთ შევიწროებულნი არიან. მარტი და ნახევარი აპრილი ისეთი წვიმებით გავიდა, რომ მუშა ხალხს სამუშაოთ გარეთ თავი არ გამოუყვია; გამოიღარა თუ არა მოპირეს თოხ-სახნი-სი და ენზადგომდენ სამუშაოთ გასვლას, მაგრამ ბედმა აქაც უმტყუნა: ისეთი პაპანაქება სიტყვ დადგა, რომ მიწებით სულ გამოიხმა-გამოივივალა, რომლის მიზეზით მისიცი გავიდა და არაგის რა დაუთესია, მთელი საყანე მიდამოები გვიმრა ბიით ვადამწვენა-გაყვითლოებულია. აქაურ მუშა ხალხს იმედი დაკარგული აქვს: თუ ზაფხულმა ასე უწყემოთ ვაიარა ცოლშვილი შიმშილით დაგვენოცებოა, რადგანაც უწყემოთ და თესილი პირნახლო ეცრავერთა იხერებს. წელს სომინდის ფაი ხომ სულ დაკემულია, რომლითაც ასწორებდენ ყოველ სახელმწიფო და სასოფლო მოთხოვნილებას და თუ უწყემობით დათესვაც ახლა ეცრავინებეს უტყველათ შიმშილი მოელოთ, ყოველ გეარ შევიწროებასთან ერთთ აქაურმა მოურავმაც ხელი მოუჭირა მუშა ხალხს: წელს გამოიგონა „ასადლე-

რობო“ გადასახადი ქცევა მიწის თავზე ერთიდან სამ მანეთამდე, და თუ არ გადაიხდა საწყალო გლეხმა ის მის სამოურავოში ფეხსაც ვერ დაადგამს. ამას გარდა, საწყალი გლეხი ექსპლ-ნუესტრაოკიანი პრაობებით ისე მათვანე შეულობხს ფულს და „სალეგრობოში“ უსწორდება. მაგრამ არც ამით ჯერდება: შარშანდელი გოჭმენდილი და შვლობილი ადგილები ბეგრს დაატოვებია და სასყიდლით სხვის მისცა.

ღმერთმანი საკვირველია, საწყალი მუშა ხალხი მოსავლისაგან ნახევარს აძლევს ადგილის ბატონის და გარდა ამისა მებატონის მოურავი რაღაც „სალეგრობო“, უმნიშვნელა გადასახადს იგონებს და ვინც უარს ეტყვის, ბეგრს დამუშავებულ ყანაზე ხელს აღებინებს. კიდევ კარგი რომ მებატონე კმაყოფილდებოდეს, მაგრამ არა მგონია.. ასეთი უსამართლო გადასახადით თვით ბატონი მოურავი იძლებს გაუმძღარ კუჭს. ამას გარდა ბუნებითი მოვლენამაც არ გვახერხა: 17 მაისს, საღამოს ექვს საათზე ისეთმა მძლიარმა ქვენა ქარმა მოიქროლა, რომ პირველის მოკაროებით დაანგრია მრავალი შენობა, ძირიანათ დაგლიჯა უზარ მახარი ხეები, გადაბუჯა ცეცხლით ტყეები და აზარალა ადამიანიც; ხალხი შიშისაგან დიდთ თავ-შარ დაცემულია. თუმცაღა 2 ივნისს 1894 წელს იყო აქ მძლავრი ქარი და ბეგრი ზარალიც მოსცა სოფელს, მაგრამ მოსწრებელი ხალხი ასე ამბობს: ამისთანა მხარე ქარის მნახველი ჯერ არა ვართო.

სტუმარი.

პროვინციის ვითარება.

(დაკვირვების გუჩიას ცხოვრებიდან.)*

სვლკარია! რითი ვერ გაივთ აქამდის, რომ ანეი გაზეთების დანიშნულება სულ სხვა და ადგილობრივი რუსული გაზეთებისა კი სულ სხვა. ისინი ხომ სულ სხვა თვალთა ხედვის წერტილიდან შინჯავენ ყოველსავე საგანს კაცასია-ში, ჩვენ იმათი აყოლა არ გვარებებს; ჩვენ ჩვენი საქმეები გვაქვს და სხვის ნათქვამს უნდა ვერბილით. სწორეთ ამ სხვისი აყოლით, ამ სხვისი მიხედვით არის, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარება, სოფლათ თუ ქალაქში, შავი ბურჟუსით არის გარემოცული. ან კი ვინ მოიცილის ამ ბურჟუსის გაფანტისთვის? ეს ხომ თავდადებას, შრომას და გარ-

ჯას თხოულობს? ჩვენი საზოგადო საქმისთვის თავისდადება, იმისთვის გარჯა!—ეს რა მოსახსენებელია? ჩვენი მე მესმის მხოლოთ, როცა გამოვარდ და საქვეყნო გადახანა: მე, მხოლოთ მე ვარ ყველა საზოგადო საქმის სულის ჩამდგმელი; მე რომ არ გყოფილიყავი, დღეს საქართველო აღარ იქნებოდა, ქართული ენა აღივებოდა პირისაგან ქვეყნისაო. მწს კი არაფერი გაუტეთებია, პირ-იქით ის მვენე კაცია ჩვენი საზოგადოებისთვის, და ჩვენ საზოგადოებაში იმის ქაჯანება არ უნდა იყოს; ის მხოლოთ თავის გამდიდრებაზე ჰუიქობოდა და სხე. დიახ, სწორეთ ამნაირი ხმა ვეგსებს ჩვენ, პროვინციელებს, იქიდან, საიდანაც სულ სხვის მოველოდით! ჩვენ რაქვით, როცა ანაირ მავალითს ვხედეთ იმათში, ვინც სულ სხვა კილოზე უნდა გველაპარაკებოდეს? აქაო და მე ერთ დროს ექვსი თვე (სწორეთ ექვსი: არც მეტი არც ნაკლები!) სოფელში ვიცხოვრებო, ხალხურ თქმულებათა შესაკრებთა, რითაც დღეფანებელი ლეაწილი დადევო ჩემი მამულითისთვის; ამიტომ მართლ და მუხლი მოიხარეთ ჩემ წინაშეო!—საბრალო პროვინციელებო! როგორ მოხდა, რომ როცა მთელ თქვენ სიცოცხლეს სოფელში ათავებთ, სადაც რის ვაი-ვაგლახით და წვალებით თავსაც ირჩენთ და საზოგადო საქმისთვისაც იღწვით, როგორც სოფლის მასწავლებლობა: მავალითათ, და ამისთანავე სადაც ათას გვარ უტუღმართობას იტანთ,—ვიმეორებ, როგორ მოხდა, რომ თქვენი თავი ერთ ხელ მაინც არაფერ მოავრანა ამ ვაჯბატონებს? ნუ თუ მთელი თქვენი სიცოცხლის განმავლობაში რაც წვალება და ვაი-ვაგლახი გამოგივლიათ ლუქა-პურის მოპოვებისთვის და რაც სამსახური გაიწვევიათ საზოგადო საქმისთვის,—ყოველივე ეს იმოდენ მაინც აღარ არის, რომ თავის მნიშვნელობით ამ ვაჯბატონის ექვსი თვის განმავლობაში სოფელში დარჩენას შეეღაროს? განა ამნაირი კადნიერება გავრინილა? დაეუბრუნდეთ ახლა ჩვენს პროვინციას.

მაგრამ ჩემი მღკამარება მეტათ უხერხულია: გურიის და ოზურგეთის, უმეტესათ კი ოზურგეთის, ამბებთ, ჩვენ მკითხველებს მობზერებელი აქეთ თავი; მეოჯ მხრით ჩვენი გაზეთების მკითხველები, როგორც მოვეგსენებთ, დანეუელი არიან, გურიაზე და უმეტესათ ოზურგეთზე ამოკითხონ რაიმე ვასაუცარი. არა ჩვეულებრივი. მე კა ამავებისთვის დავნეი მავქს და არც მოვალეობა; მაქლო რომ ვავატანო ჩემ თავს, დღეს არც იმისთანა რამ ვასაუცარი ამბავი მეგულებო, რომელსაც ჯერ არ დავშენენიბოს ჩვენი ახალ მოდის გაზეთების ფურცლები. მაგრამ.. დამაცადდით! აი, სწორეთ ახლა არ მომავონდა ერთი ამბავი, რომელიც, ვგონებ, არც ერთ

* იხ. აკად* № 25.



მეჩეთის მოედანი ვანჯაში.

ჩვენ ვაზეთო არ უნდა იყოს ჯერ გამოცხადებული (იმედია ამ ამბავს ყველა ჩვენი ვაზეთები გადაბეჭდვენ!) ქალაქ ოზურგეთს შეუძინა ამ უამთ საკუთარი კორესპონდენტი! ბედნიერი ოზურგეთი! ეს კორესპონდენტი იმდენათ ნაყოფიერი გამომდგარა, რომ მას ყველა თვლისის ვაზეთები შეუძლია გაეცნოს ჭორებთ მართა ოზურგეთის შესახებ. ამ თავისებური კორესპონდენტის დასახსიათებლათ მომავალს აქ ორი პატარა სცენა.

ერთი ჩემი ნაცნობი ამას წინეთ შეხვედროდა ამ ღირსეულ კორესპონდენტს და ასე ესაყვედურებდა მისთვის:

— კაცო, რათა წერ ამდენ ჭორებს ოზურგეთზე და ადგილობრივი აზრების წარმომადგენლნი რათ ავაყის ცაშდის ქებითა? ნუ თუ ეს სირცხვილი არ არის შენთვის?

ეს სიტყვები იმნაირი კილოთი ყოფილიყვენ წარმოთქმულნი, რომ ჩვენი კორესპონდენტი, ცოცხალი არ იყოს, საგონებელში ჩაეარდნილიყო, მაგრამ მაშინვე გამოარკვეულიყო და ასე ეპასუხნა ჩემი ნაცნობისთვის:

— მართლა სულელი უნდა იყო შენ, რომ მაგას შეკითხვები. ნუ თუ ყველასათვის ცხადი არ არის, რისთვისაც ეაქებ-ვადიდებ იმ პირთ? მაშ, რით უნდა გადელუხადო მაღლობა ამდენი პატიესკემისა და საღილ-ფანშების გამართვისთვის? შეც ხომ ვერ ვადელმართავ იმათ სადილებს? ვანა ჩემი ჯიბის ამბავი არ იყო?.. მაგრამ ღირს კი ამაზე ლაპარაკი! ნახეამდის!..

ჩემი ნაცნობი გაოცებული დარჩენილიყო ამ თავებდი პასუხით:— მგონებოდა ასე ურცხვათ მიპასუხებდა, როგორ გავისულღებდი თავს, რომ იმს დავედობარაკებოდა,—მითხრა გულ-ნატყენათ მან და შემდეგ ასე დაუმთავრა:

— როცა მელოპარაკებოდა, მის (კორესპონდენტის) ტუნებზე იხატებოდა ერთნაირი ღიმილი, რომელსაც მე ვერ ავიწყურ, ვიტყვი: მხოლოთ, რომ ეს იმნაირი ღიმილი იყო, რომელიც ზოხლს გარდა ვერავითარ გრძნობას ვერ გამოიწვევს ადამიანში..

როგორც თვით მკითხველმა უწყის, მეგრული საღილ-ფანშების მორტიფიკაც კორესპონდენტები იშვითი მიუღწენა არ არის, არც ჩვენში და არც სხვაგან, მაგრამ უფრო შესანიშნავი აქ სულ სხვა გარემოებაა. თუ, მაგ., ისეთ საზოგადოებაში მოხვდა ხსენებული კორესპონდენტი, რომელსაც ამ საზოგადოებაზე არავითარი წარმოდგენა არა აქვს, მაგრამ მისი გონებრივი მდგომარეობა წინააღმდეგ აქვს გათვალისწინებული, ის ისეთი დიდი ვინავე ვახდებ ამ საზოგადოების თვალში, რომ მისი ბადალი თითქმის

მთელ დედამიწის ზურგზედაც არ მოიპოვება. მკითხველმა, როგორც მას სურდეს, იმისთანა სახელი დარქვას ამ საქციელს, მხოლოთ მე აქ ერთი შემიბთვევა უნდა გავისენო.

ამ რამდენსამე თვის წინეთ, როცა მე სრულებით არ ვიცოდი, თუ ოზურგეთს თავის საკუთარი კორესპონდენტი შეეძინა, ერთი ჩემი შორეული ნაცნობი მესტუმრა, რომელმაც სიტყვა პირდაპირ ამ კორესპონდენტზე ჩამოავლო.

— „თქვენ, ბატონო, ხომ იცნობთ ამ-და-ამ კაცს, (აქ მან დაასახელა სახელი და გვარი ოზურგეთის ახალი კორესპონდენტისა), რომელიც დღეს ოზურგეთის სტუმარია? ოზურგეთი მას დიდი აღტაცებით ეკებება. წარმოიდგინეთ რომ ვერაინ ვერ გაგო, თუ რა სასწაულგებელი უნდა ჰქონდეს გათავებული, იმ კაცს. მე ვფიქრობ, რომ თქვენ უნდა იცნოდეთ ესა... ნუთა სად უნდა იყოს იმნაირი სასწაულგებელი? რატომ ყველანი იქ არ გზანინან თავის შვილებს? ჩემ შეკითხვაზე, თუ რითი მოუხდენია ხსენებულ გვამს ოზურგეთზე ამნაირი შთაბეჭდილება, მან მიპასუხა აღვლევებული კილოთი:

— ხოო?.. ეს დიდი ამბავია, ისე დიდი, რომ თქვენც ვაკვირდებთ! თქვენ, რასაკვირველია, მოგესხნება— ჩვენებური ნასწაული კაცების ჩვეულება, როცა ერთთ მოყოლიან ხოლმე თავს, იმათში ერთი კაციც არ გამოერევა, რომ შერეულ ენაზე არ ლაპარაკობდეს, თითქო ყველას, დედის ძუძუსთან შეზრდადეს წამდაუწყუმ ქართულიდან რუსულზე და რუსულიდან ქართულზე გადასვლა. აბა, ერთი ყურადღება მიაქციეთ, удивительное дело (თქვა მან რუსულათ, თითქოს თავის სიტყვების სიმართლე სურს დაამტკიცოს!) ჩვენში თითქო პირდა მიუციათ ერთმანეთისთვის, რომ თუ ქართულათ დაიწყებ წინადადებას, უსათუოთ რუსულათ უნდა გაათავო. პირ-იქით ის ახალი კორესპონდენტი კი სულ სხვანაირათ მოიქცა. სადაც კი მოხვდებოდა, წვეულებებზე თუ ისე შეკრებულებებში, მაგრამ უფრო კი წვეულებებზე (თითქმის ყველა დარბასილი ოჯახში პატყება), რომ დაიწყებდა რუსულათ ლაპარაკს, თქვენ არ მოუკვდით ჩემ თავს, ის ერთ სიტყვასაც არ იტყოდა სხვა ენაზე! და მერე რა ენაზე ლაპარაკობდა! ისე რომ-არმა სიტყვებს ჩაურეგდა ლაპარაკში, რომ ჩვენ ყველანი პირ-ლია დავრჩებოდით... ხომ ვასაკვირველია ეს?

მე მაშინვე შევამჩნიე, რომ ჩემი მოსახლეთ შეცდომაში იყო შესული: გვანებ, ყველასათვის ცხადია, რომ ოზურგეთის კორესპონდენტს მხოლოთ ქართულ ენაზე ლაპარაკით შეეძლო გავკვირებოდა ოზურგეთის საზოგადოება, რადგანაც რუსულ ენაზე

ლაპარაკი ჩვენ „სასწავლო“ საზოგადოებაში არავისთვის ვასაკვირველი არ არის. ამას სხვთა შორის ის ვარემოებაც ამტკიცებს, რომ ხსენებული ვაჭაბუკი ისე ღრმად-ღრმა სიტყვებს ჩაურევდა თურმე ლაპარაკში, რომლებიც ჯერ არც არავის ვაფგონა და არც არავინ იცოდა, და ეს ხომ ქართულ ენაზეა მხოლოდ შესაძლებელი! სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს ის ვარემოებაც, რომ ჩემ მოსაუბრეს სულ არეოდა დეოთარი და ისიც აღარ ახსივდა, თუ რა ენაზე ლაპარაკობდა მის მიერ გაღმერთებული კორესპონდენტი. მიზეზი აშკარაა: ჩემს მოსაუბრეს გაჟგავა იმ ვაჭაბუკის ქართული ლაპარაკი! მი მინდოდა პირში მემხილებია მისთვის ეს შეცდომა, მაგრამ ვინებამ მაშხილა: თავი დანებე, მაგით მაინც ვერ გაასწორებ მას და ტყუილა უბრალოდ მოუშხამე ტკბილ ოცნებასო. ამიტომ მე ასე ვუპასუხე:

— სწორე ვითარათ, ვასაკვირველს მე აქ ვერაფერს ვხედავ. სასწავლებელსაც ამ ვარემოებასთან არავითარი კავშირი არა აქვს: ადამიანს ყოველთვის შეუძლია ესა თუ ის ენა იხმაროს ლაპარაკის დროს, თუ ეს მას ეხერხება. ხოლო თუ არ ეხერხება, და მაინც თავის თავს ძალას ატანს, ესეც სასაცილოა. შემდეგ ეუთხარი ისიც, თუ რა სასწავლებელში არას ნაშყოფი ის ვაჭაბუკი მეთქი. ეს ეთქვი თუ არა, ადექ და დეიწყე ოთანში სიარული; ამით მინდოდა მეჩვენებია ჩემი სტუმრისთვის, რომ ის თავის ლაპარაკით თავს-მაბეზრებდა, მაგრამ მან მაინც მოინდომა სიტყვის ვარქმელება:

— ბ. ახალი კორესპონდენტი, როგორც მან თითონ მითხრა, სამი რედაქციის წევრი ყოფილა, და თვეში ოცო თუშანი ჰქონებია სამივიდან დანიშნული. (რომელი რედაქციები აჯილდოებენ ასე უხვათ კორესპონდენტს, ეს შენ გამოიცანი, მკობველო!) ამბობენ, ძალიან კარგათ წერსო; ნამეტარს ენას უქებენო; მისი ენა ნამდვილი, ძველი ვადაქართული-ბული ქართული არისო. ოზურგეთში სულ იმას ვაიძხიან, რომ ამისთანა ქართველი კაცი ჯერ ჩვენ არ გეინახესო!..

ცხადა, რომ თუ ამისთანების ვაგონება ერთი მხრით სასაცილოა, მეორე მხრით აუტანელიც არის. ამიტომ მე ასე მოუუქერი მას სიტყვა:


— ჩემთვის არც ვე არის ვასაკვირველი. მხოლოდ ვგობრე, რაც შეძლება ყურადღებით მოისმინეთ ჩემი სათხოვარი თქვენდამი: ოზურგეთს ვარდა ნურსად იტყვით მე ამბავს, თვარა ყველასათვის სირცხელი იქნება მეთქი.

ჩემი სტუმარი, როგორც იყო, წაიდა; მე დარჩი მარტოკა და მწარე ფიქრებმა წაიღეს. ვფიქრობდი, რა ადვილია ზოგჯელ მთელი სა-

ზოგადობის მოეცუება-მეთქი. სამწუხაროა აქ ყველაზე უფრო ის ვარემოება, რომ მატყუარა კაცს საზოგადოება უფრო ხშირათ უჯერეს. ვინემ იმას, ვინც მას სიმართლზე და ქვემარტებზე ელაპარაკება, ამიტომაც მოხდა, რომ როცა ამას წინეთ იმავე კორესპონდენტმა საქვეყნათ დაჰგმო ერთი ჩემი დრო-ვაშოშებთ გამოცემას მიმართულება და მის თანამშრომლებსაც სხვა და-სხვაჯარი ცილი დასწამა, ოზურგეთის ვერეთ წოდებული „ინტელიგენციის“ წინაშე, ამ უქანასენლმა ამას კვერი დაუქრა. საბრალო ოზურგეთის ინტელიგენცია! მან რა იცოდა, თუ იგი ამნაირი საქციელთ გამოეთხოვებოდა თავისუფალ მსჯელობას და აზრ იფენბას! მაგრამ დავანებოთ ახლა თავი ოზურგეთის ინტელიგენციასაც და მის მიერ სათაყენებელ კორესპონდენტსაც და ვადავიდეთ უმთარეს საკანზე — გურიის ეკონომიურ მდგომარეობაზე.

ზოგინციო.

(შემდეგი იქნება).



პასუხი ბ-ნ ი. გოგებაშვილის.

ის. „ივერია“ № 104



მას წინათ „ივერიაში“ ბ-ნ გოგებაშვილს, სხვათა შორის, ვუსაყვედურე, რომ „საკადროსი არ არის და ზენობასთან შეუსაბამოა ლაქძე და ვთრევა საზოგადოთ და მეტადრე იმიო სი, რაც ჯერ არ არსებობს და, მასადამე, რის ავი და კარგი არ იცის საზოგადოებამ-მეთქი. ბ-ნი გოგებაშვილი ბოდიშის მაგიერათ — ბანზე სიტყვას ავადებს და მესაუბრება იმის შესახებ — თუ რა „სწორე გზაზე“ უნდა მეტარებინა ჩემი სახელმძღვანელო, რომ ბ-ნი გოგებაშვილის ლოცვა-კურთხევა მიღისებოდა. ეს ღალაბი მაგონებს ერთ პასტორს, რომელიც უქადაგებდა სამწყსოს — ქურღამა-ბიწიერება, არეინ უნდა ვამბდოს და შეეხოს სხვის საკუთრებასაო და იმავე დროს ქადაგებთ ვაჭაცებული ორატორი ჩუმათ ჯიბიდან ხელსახოცს აცილიდა ერთ თავის მსმენელ მანდლოლასანს. სწორეთ ასევე მიქადავებს ბ-ნი გოგებაშვილი: „სწორე გზაზე“ დადგომას და თვითონ კი აცილებია ამ სწორე გზას, ლანძღავს, ათრეგს გამოუქვეყნებელ ჩემს ხელთნაწერს და ვაიძხიან: „მოკეთე“ ძირიან-ფესვიანათ ამოადგებს ქართულ მწერლობას და ლიტერატურასო. „სწორე გზა“ კი ამას მოითხოვდა, გოგებაშვილს დეცადა,

წიგნი გამოსულიყო, საზოგადოებას ენახა თვლით, ჰქონდა ლონისძიება კრიტიკული თვლით განეხილა ჩემი ნაღველი და განიერული მსჯავრი დაედვა მისთვის. მაგრამ ბ-ნმა გოგებაშვილმა წინ უსწრო ჩემს განძრახვას—ჩემს სურვილს, ე. ი. ვალანძლა და გაათრია ჩემი ხელთ-ნაწერი, რომელიც თვლით არ უნახავს:

„ბ-ნმა ნათადემ რეგულათ, ხელთ-ნაწერათ წარუდგინაო, სადაც ჯერ არს, თავისი წიგნი „ბავშვების მოკეთეო“ და ჩვენ ეს გზა უკუღმართ გზათ მიგვიჩინაო“. გოგებაშვილს ძალიან კარგათ მოეხსენება, რისთვისაც მოვიტყეო ასე და ისიც, რომ აქ უკუღმართობა არა მოაოგებარა. ვთქვათ, დაიბეჭდა ჩემი წიგნი, ხარჯი ვამწეო და დაბეჭდილი მჭრუნველს არ მიეღო, მაშინ ხომ ჩემ წიგნს ისეთივე დღე დაადგებოდა, რაც ზოგიერთა ავტორების წიგნებს. შეადგინოს შედგინო წიგნები, დაბეჭდეს, ხარჯი ვასწიეს და იქ კი ცოტა დაბრკოლება მისცეს და ახლა ცნობის-მოყვარეობისთვის თუ იუილის ვინმე, თორემ სხვა იმათ არავინ ეკარება. ეს ყველასთვის ცხადია, მაგრამ ხომ მოგახსენებთ „წყალში დამხრჩვლი ხავს რომ ექადებოდა“. რაც შეეხება ბ-ნი გოგებაშვილის მეორე წინადადებას, რომ მე ახლა ეს ხელთ-ნაწერი, რომლისაც ნახვეარი დაბეჭდა კიდევ, „წერა-კითხვის საზოგადოებას“, ან სკოლის კომიტეტს ვუჩვენო, ან ქუთაისში გაუუგებანო სათავდაუნაწურო სკოლის მასწავლებლებს ვასამინჯავათ, ან ვამათ უბრალოთ მიმანინა და ისიც ვიცო, რა ხაუფანი იმალება აქ წინადადებაში და უკაცრავათა ვარ, რომ ბ-ნ გოგებაშვილის დიდი ხნის სურველს ვერ ვასრულებ, მით უფრო ვერ ვასრულებ, რომ ეს ხელთ-ნაწერი უმეტესობას ნახული აქვს და მოწონებულია კიდევ. ჩვენება და ჩხრეკა სადღო საქვს უნდა; ჩემი შრომა კი მეტათ ნათელია—ცხადია. მე არავინ შედაგება და აქ არავის აქვს ეჭვი, რომ აღექვ. ნათადე შეადგენდა ისეთ რასმე, რომელიც შელახავს ავტორის სინილის და მის პატრიოტულ გრძნობას. ცუდს მართო ბ-ნი გოგებაშვილი ფურკობს და ეს ფიქრებ, როგორც „ივერიაშიაც“ მქონდა ნათქვამი არ ახალია—ძველია და რაცა ნებადგეს, ის იფიქროს,—თუ არ დაუშლია. მე საზოგადოებასთან მაქვს საქმე და რაცა გამოქვეყნდება იგი ხელთ-ნაწერი, იმან იცის, ვის ნაშრომსაც ამჯობინებს: ბ-ნი გოგებაშვილისას, თუ ჩემ მტრე ნადეაწს, რომელიც ასე ყელზე დადგომია მას და მოსვენებას არ აძლევს; ზოლო თუ ვერ მოუთმენია და ახლავ ძალიან ნებას ჯერეთ „მზეთუნახავის“ ნახე—ესეც ადვილია. მობრძანდეს

ექვთიმე ხელაძის სტამბაში, სადაც იბეჭდება და იხილოს. მაშინ მაინც ექნება საბუთი ბ-ნ გოგებაშვილს ბრძანოს: წიგნი ენახე და არ მოამწონაო.

ა. ნათაძე.

ქ ა ჯ ი.

(მოხრობა)

IV. *)



ამოღმა კვირიკეთში დგას ერთი ძველი ღროისი, ვამთა-ვითარების გამო, ალაგ-ალაგ კედლებზე ჩამოქცეული ციხე. ეს ციხე, როგორც ამბობენ კვირიკელები, აუშენებია შიშინაობის ღროს თავდავ ქაიხოსრო მსხვილ მსხვილადეს. იგი მტრის დაცემის ღროს შეიმალებოდა თურმე ციხის ზემო სართულში; ქვემო სართულში თავის ყმებს აბინავებდა და, თუ ვინიცაა მტერი შემომამტრევედა ციხის კარებს და ციხეში შეეფარებოდა, მაშინ მისი მსხვერპლი შეექნებოდენ საბრალე ყმები, ბატონი კი თავის სახლობითურთ ვადარჩებოდა, რადგან მეორე სართულში ასავალათ ერთი ისეთი ხერხელი იყო, რომელიც მართო ბატონმა და მისმა შვილმა იცოდა. ყმები გაკერებულნი იყვნენ: საიდან აღის ეს ჩვენი ბატონი „ზემო სართულშიო“.

ეს საიდუმლო სასტიკათ იყო დაცული, სანამ მსხვილ-მსხვილადემები—ქაიხოსროს ჩამომავლობა—ქვეყანაზე სუფევდენ.—მაგრამ ღრო გამოიცივალა; მსხვილ მსხვილადემები წუთი-სოფელს გამოვსალამენ; ქვეყანა დამშვიდა, შიშინაობა გადავარდა და ციხეში თავისუფლათ დაიწყეს სიარული წერილ-წერილადეება; თითქმის ბავშვებაც კი თამამათ დაიწყეს შიგ სიარული; ამათ შექონდათ შიგ ქვები და აშენებდენ პატარა ციხეებს დიდი ციხის გვეგმაზე. მალე ხერხელიც გამოჩნდა, გამაზვრიეს, გამოაფართოვეს და ავიდენ მეორე სართულში, სადაც ერთმა გლეგმა ბლომათ ძველებური ვერცხლის ფული იპოვა ციხის მუპატრონეთაგან შენახული. შეიქნა ციხე საქვეყნო! ერთიანს თხეხსაც კი ამწყვედევდენ შიგ. მაგრამ შემდგე თხების პატრონს თხების ყოლა მოწყინდა და ვაჟიყვ, მხოლოთ ერთი აძკლა შვილის ნათელაში. ამის გამო კალი წაიხეხება:—ვის ვაუკონა ნათელაში თხის ხორკით სტუმრების გამასპინძლება: მონათლული თხსავით ცელქი გამოვია.—

*) ის. „აგბლი“, № 25.

მაგრამ ამ სიანა წინასწარმეტყველებამ ამათ ჩაი-
რა: ბავში ქვეყნის გამოდგა, ყველაფერს უყვირდ-
ბოდა და როცა წამოიზარდა, ერთ საღამოს ზემო-
ხსენებულ ციხის ახლო გაიარა, შეიხედა და, რა და-
ინახა ციხის შიგნით საშინელი სიბნელე, ზარ-დაცე-
მული სახლში გაქცა ყვირილით: „ქაჯი“, „ქა-
ჯიო“. ამ დღიდან ყველას რწამდა, რომ ამ ცხენში
ქაჯი ბინადრობსო და შივ შესვლას ევლარაინ ბე-
დავდა.

V.

როდესაც თეკლე გამოერკვია იმ შესაბრალო
ქალ-ლეილიდან, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ,
სწრაფათ წაიდა სოფლის ნაკვალთან შემწობს ს სა-
თხოვნელათ. — ნაცვალს უნდა ჩამოვარა მთელი კვი-
რიკეთი, ყველასთვის ეამბო ქერიების გაჭირვება და
შემწობა ეთხოვა. ხალხს ან ქაჯი უნდა დეკურა,
ან ჩამორიგებით ელარაუნა ქერიების ქაჩისათვის;
ეს იყო მამასახლისის გადაწყვეტალება. საფლავებმა
ერთხმით გადაწყვიტეს: „ქაჯი შევიპყროთო, ი წყუ-
ლი ციხენში ბრძანდებოა“ — და ერთ კვირა დღეს, ნა-
სადილევს, დიდ-ძალი ხალხმა მოყარა თავი ციხის
წინ, ვაკე მიწდორზე. ზოგი რას ამბობდა და ზოგი
რას... ლაპარაკი ეთხოდა უმეტეს ნაწილათ ქაჯებს.

— გოგია, გოგია, გეთხარია შენ რომ ქაჯი და-
გვექცია, როგორ იყო?

— როგორ იყო და, — დაიწყო გოგიამ, რომელ-
მაც სწორეთ ამ დროს გამოიღო პირიდან ჩიბუხი და
განზე გააუფრთხა, — როგორ იყო და, ერთხელ, შუა-
ღამე იქნებოდა, მოედინარ მარტოთ-მარტო. ქაჯის
ღელვს რომ უძახიან, ხომ იცით?

— კი ვიცი, — დემონწმენ ყველანი გოგიას,
რომელიც კარგი წამოსადგეი ვაქცაკი იყო: მისი მა-
ლალი ცანი, ფართო ბეჭები, მსხვილ-მსხვილი მკლა-
ვები, ასეთივე წველები, თავ-კისერი, — ამტკიცებდა,
რომ ამ კაცს ერთი ქაჯისა კი რა მოგახსენიოთ და
ხუთი კაცის შეპყრობა კი შეეძლო.

— ჰო, განავრძო გოგიამ: — მოედინარ გზაში
მარტო, როგორც მოგახსენე-ყე, ისეთი ღამეა, რომ
თვალთან თითხაკი ვერ მიიტან. „ქაჯის ღელვში“
უნდა გამევიარა და რას აპირებ ახლა! — ქაჯი რომ
ღამხედება, ვიცო... იმ ღელვში ერთხელ უნახეთ ქა-
ჯი თუ ორჯელო!.. გადვიწერე პირჯვარი, ვახსენე
წმიდა გიორგი: „აწმიდა გიორგი-თქვა“ შენ ქვეყანზე
ქაჯებს და ეშაქებს დეენილი და ახლა მეც მომიხ-
მარე-თქვა“. — ეამბობ ამას გულში და ეფიქრობ, თუ
ღამხედა, მე ვიცი... მოედი ღელის პირზე და — ვეეე...
ხომ მომგმა ხმა! ქაჯი ზურტყულობს! რას აპირებ

ახლა! გევიქცე, რაე გევიქცე, დედაბერი კი არა
ვარ! — გამოდი, გამოდი შე წყულო-თქვა, მიუძახე;
ხანჯალი ამპირალიბებული მაქვს. ერთი დედლირა-
ლა... კაცო, ქართულთ ლაპარაკობდა და მე ვერა-
ფერი გევეგე... ღრმა სიტუტებს ხმარობდა..

— საღვთო წერილიმ ნასტავლია, მე კაცო! გა-
იხუმრა ვილაცამ.

— დაგეცა, დაგეცა, მიძახეს ხუმარას. — გო-
გიამ განავრძო:

— დედლირა, წამეცა და დემეცერა; დე ე-
ძეცა და დევეგვერე.. მოკლე ხელები მარა რას
მოკიდებ! ისეთი მავარი ხორაკი აქვს ი ოხერს, რე-
გორც მუხის ჯიკიო!.. ჰა იქით, ჰა აქეთ, ვანძრე,
ვარყე და, როგორც იყო, წაეცაკე. დაეჯეძი თავ
ზე და ექუსლაე ახლა... მუშუტი ბევრი ვერტყი,
სულ ხელები დამეფუტა!.. როცა ისე ვახდა, რომ ხმას
ველარ იღებდა, წამევედი სახში. ერთი თვის მერე
კილა გევიარე იმ ალაგას შუადღეზე და, რასაკვირ-
ველია, ქაჯი ევლარ ენახე, მაკამ ჰილაობისაგან და-
თხროლი თუ დათელილი მიწა კილა იყო..

— შენი ძარღვის ჰირიმე!.. ძარღვიანი ყაზახი
ხარ! — ეუბნებოდა ხალხი გოგიას, რომელიც ამაყათ
გადაცქეროდა მას, როგორც მალა-ტრატებიანი მუ-
ხა ამაყათ დაცქერის მის გარშემო ამოსულ ჩრგვე-
ნარს.

— ამ დარბაზში (ასე ეძახოდა გოგია ციხეს)
ნამდვილათ არის ი წყუელი, ღამ-ღამე გამოდის და
აშინებს საკოდაე ქერიებს.

— გეაშინებს კი არა დაგეცოცა აკერ-აკერ, —
წამოიძახა თეკლემ, რომელიც სწორეთ ამ დროს აქ
მოსულიყო და უნდოდა დამტკბარიყო ქაჯის და-
ტანჯეთი. თეკლე დაითხოვეს, სახლში წადი, აქ ნუ
ხარ, თვარა ჭკუა შეგეშლებოა. თეკლე დემორჩილა
ამ რჩევას.

— ქაჯი-ქაჯია; კი ვიცო, ქაჯი რომ არის ქვე-
ყანაზე, მწწამს! სტაულები კი ამბობენ, არ არის ქა-
ჯიო, მაგრამ ეს ტყუილია, რომელმა ნასტავლმა ნა-
ხა ქაჯი? ქვეყანაზე თუ კაცი არის, ქაჯიცაა, ეს კი
ვიცი, მაგრამ ამ ჰიმიკას რომ უძახიან, ნეტა თუ მარ-
თლია? — იკითხა ვილაც ცნობის-მოყარეიმ.

— მაგის ამაზე მე მკითხე, — თქვა ვილაც სხვა
გოგიამ: — ჰიმიკა ჩემი თვალთ მინახავს.

— მეც მინახავს — დასძინა ვილაცამ.

— თითო ბავშვის ოდენაა, — განავრძო გოგიამ.

— მართალია, — დემონწმა იგივე ვილაცა.

— გიორგობის თვეა, დაიწყო სხვა გოგიამ: ჰიმი-
კობის კვირა *). შუა-ღამე იქნებოდა, რომ ქალა-

*) ჰიმიკობის კვირა ცხრა დღე გრძელდება: 28 ოქ-
ტომბრიდან 6 ნოემბრამდე.

ქიდან სახლში მოედევარ ცხენით; მარტო ვარ.— გოგია, გოგია!—მიძახის ვიღაცა. ცხენი გვაჭარბე. ხმა მოახლოვდა, ქალის ხმა უნდა იყოს.—გოგია! ცხენზე შემსვი და გამატარეო,—დამიძახა. მაშინ ქე მივხედი ვინც და იყო. შემოვისვი ცხენზე. შემოვისსენი სარტყელი და დავაბიო.

— ვინ დაბიო, ქი-მა?—შევეითა წელანდელი ვიღაცა.

— ჰო, კაცო, ქიმა, მაგრამ ქალათა ვადაქცეული.

— არ ეწყინა?

— რას შობიო, მკითხა. — არაფერს-მეთქი, მე-შინა რომ ცხენიდან ვადავარდე და მიტომ დავაბი-მეთქი.—ჰო, კარგია, გავხარდა.

სოფელში რომ შევედით, მამალმა ნაშუალამე-ვის იყილა, ძაღლის ყეფაც მოგვესმა. ქიპკას შეე-შინდა: მამლის ყიფილის და ძაღლის ყეფის ძალიან ეშინია! შემეხევეა გამიშვიო. — ჰე, გამარჯობა შენი-თქვა, ვუთხარი, — რის გეშინია-მეთქი! მერე ტირი-ლი დეიწყო: გამიშვი და გაგამდიდრებო. მაგრამ ეშ-მაკის სიმდიდრე, დაწყველა ღმერთმა, რათ მიწდა?! მი-ვიყენე შინ, დაქენი ფრხხლები, მოვპარსე თმა, და ესენი ერთათ შევინახე დიდ ქვას ქვეშ. მას აქეთ დიდხანს მყავდა ის ქიმა მოსამსახურეთ. ძალიან მარჯვე იყო. ერთხელ შინ არ ვიყავით. ქიკამ იდ-როვა თურმე, წასულა, უნახავს თავისი თმა და ფრჩხილები და გაქცეულა! მივიდით შინ, ქიმა ეე-ლარ ვნახეთ! გეიქცა, გვიპარა!

— თურმე ქაჯის გელიქცევა ლამაზ ქალათ, ხან ძაღლათ, უფრო ხშირათ ძაღლათ.

— ქეშპარიტია!—დამოწმა ერთი მოხუცებუ-ლი.

— აბა, გოგია, — მიმართა ხალხმა პარველ გო-გიას: — დეიწერე პირჯვარი, ამკილე შენი „ჟამა“ (ფარ-თო და გრძელი ხანჯალი) და შედა ცხენში; ჩვენ კარგში ვაგურედებით, რომ დროზე მოგვემელოთ, თუ ვინცოდა ქაჯი დეიქრო.

— შესვლით შევლა, მაგრამ რომ არ ვიცი ზე-ვითა თუ დაბლა? — თქვა გოგია კითხვის კილოთი.

— დაბლა როგორ იცხოვრებს! ის მგორე „არტაქში“ ცხოვრებს! ძირს დადგომას არ იკად-რებს?! — ვაჩუხებრა ერთმა შუა-ტანის ქერა კაცმა.

ხალხს გაეცინა. ამ დროს ვიღაცას ციხის უკან მდგომს ცხვირს დააკეცინა „ღეთის წყალობა“ — უთხრებს. პასუხი არ იყო.

— უჰ!.. სწორეთ ქაჯს დააცხიკვა და ღეთის-წყალობა იმან გამოგეტყვილო, — თქვა იმავე ქერა კაცმა. ხალხს გაეცინა; მაგრამ ბერმა წარბები შე-იკუმუნა: ვინ იცის, იქნება მართლა ქაჯს დააცხიკვა

და „ღეთისწყალობა“ იმას ვუთხარიოთ. ასე იყო, თუ ისე, გოგია გაძრო ჩოხა, ახალუხის კალთები სარტყელში ჩარჭო, ყაბალახით თავი მარჯვეთ შე-იკრა და ხანჯალ-ამოღებული შევიდა ცხენში.

— აბა, გოგია, ივარგე, გამოათრე ქაჯიო, — უძახოდენ გოგიას ახალგაზდები. ხალხი ციხის კარებს მისკდა; ყველას უნოდა მალე შეეხედა ქაჯისთვის. აი რამდენიმე წაძი კიდეე და ქაჯი შეკრული ვყო-ლებათ... თუკლეს აწი ქაჯი ევლარ შეაწუხებს... ხმა-ურობაც ისმის—გოგია ყვირის... ამას მოჰყვა ფე-ხის ხმა... ეინ მორბის?

„მოყავს, მოყავს;“ გაძახიან ხალხში... მაგრამ ამ დროს ვიღაცამ ციხის კარებში შხლართანი მო-ადინა. — არაქა, გეშეველოთ ყვირიან: — გოგია დასცა ქაჯამა!.. უტბათ დაკლეს ხელი კარებში გაშხლარ-თულ გოგია და ცოცხალ-შევიდარი წათრიეს სახლ-ში. აქ მას რალაც ბაღახის წამლები დაალევიეს, „შეშინებულისა“ გამოულოაცეს და ერთი წლის გან-მავლობაში ძლიეს მოარჩინეს!..

დ. თომაშვილი.

(შემდეგი იქნება)

მოვიერთ ცუდი თვისებანი მებაძრეშემეთა პირველ ამხანაგობის წარმოებში. *)



ანამ სარევიზიო კამისისაგან წარმოდგენილ მოხსენებას გავარჩევდე, მანამდი საჭიროთ მი-მანჩია, რამდენიმე სიტყვა თქვა ჩემს მოქმედე-ბაზე: სარევიზიო კამისის ანგარიში ერთი თვის განმე-ლობაში უნდა შეესწორებია. ეს დრო პატარა იყო, რად-გან სულ ამისთვის ვერ მოვიცილდით და ამ პატარა დროის განმავლობაში მხოლოთ ორჯერ დავესწარი სარევიზიო კამისის კრებას; მესამეთ კი უკანასკნე-ლათ მოხსენების შედგენას დავესწარი. როგორც ხე-დაეთ, 4 სარევიზიო კამისის კრებას მე არ დავსწრე-ბივარ, 4 რასაკვირველია, რომ აღარც მიმშენიან; ამისთვის ბოდიშს ვიბდი იმ წევრებთან, რომლებმაც მე ამირჩიეს. ძალიან ეწუხებარ, რომ მოუტყველობის გამო მონდობილ კ თვის გამოარკვევაში მათი იმე-დი მთლათ ვერ ვაუპართლე. ამას შემდეგ უთუოთ დამეკითხებინა: მოხსენებაზე ხელი რათ მოაწერე, თუ თანახმა არ იყავიო; ხელი მოვაწერე, მაგრამ იმ გეგარა მოხსენების თანახმა არ ვყოფილვარ,

*) ის. „ქალა“ № 24.

არც აწი ვიქნები. ხელი იმისთვის მოვაწერე, რომ უმეტესობას მინც ჩემი მოწინააღმდეგენი შეადგენდნენ და საკითხის სასწრაფო ჯამშავ იმათკენ გადაწვია; მე იმაში ვარ შემტყდარი, რომ ცალკე მოხსენება არ წაუფრუდენ კრებას; თუ მაშინ ეს უღრმოების გამო არ მოხერხდა, ახლა მაინც მოვაწვდნ საზოგადოებას ჩემს შენიშვნებს ამ საკითხის შესახებ.

აი, ჩემი შენიშვნები: როცა პირველათ ანგარიშებს ხელი მოეკიდეთ, ვიქორბდით, რომ ჩვენ თითონ, ხელის დაუხმარებლათ, შევიძლებდით ანგარიშების შესწორებას, მაგრამ წინააღმდეგ ჩვენ იძულებინას, ხშირათ დაეჭირა, რომ ანგარიშების სისტემა ჩვენთვის, თვითონ ჩემთვის ჩამწერს აესხნა. ეს არ უნდა მიწეროს იმ შემთხვევას, რომ ჩვენ ბუხალტერებზე არ ვართ, არამედ თვით წიგნების სისტემას, ანუ შრე ანგარიშის შეტანას, რაც გაუგებრათ ხდის შესწორებას; ამაში ევრაფინ წამოგებახებს, მე მგონია: თქვენ ანგარიში არ იცოდეთო და სხვა... რადგან ანგარიშის შესწორება, იმისთანა კაცისათვის განსაკუთრებული, რომ მივლსც ხშირათ ანგარიშები აქვს ხელში, არაფერს რთულს მეცნიერებას შეადგენს. ჩვენ განვარძობთ: შამოღებულთა დღიური, ანუ თავი დავთარი, პირადი ანგარიშების და კასის, ანუ ბალანსის წიგნები. მე ასე ვიცი, რომ დღიურს დავთარში დღიური შამოსავალ-გასავალი იწერება, რომელიც პირადი ანგარიშის წიგნში გადადის და შემდეგ კასის წიგნში; აქ თავს იკრის ყველა გვარი ანგარიშები და ამით მალე შეიძლება ანგარიშის მდგომარეობა — ბალანსი — კაცმა შეიტკოს.

შეენიშნე, რომ, დღიურს წიგნში ჩაწერილი ანგარიშები ბევრ გვერდზე მელნითაა წაშლილი, და ამ დღიურ დავთარში ანგარიშები ბოლომდე იწყობრათ არ მიდის, როგორც დაუწყიათ; და ხან-დი-ხან ვარშოკებში, ან კვიტანციებში უნდა ეცნეთ. დღიურ დავთარში გადადის პირადი ანგარიშის წიგნებში, მაგრამ ანგარიშის პირადობა აქ დასული არაა. ხანდისხან დღიური დავთარი ტარებს პირადი ანგარიშის წიგნებს და უბრალოთ შეკერილ კვიტანციებში გადადის და vice-versa, წამწარათ აქ საწვარი ფორმა იცვლება; ესევე ემართება პირადი ანგარიშის წიგნებს: პირადი ანგარიშის წიგნებში თითო გვერდი ხშირათ არა აქვს მიწინილი თითო განსაკუთრებულ ანგარიშს და შეხედებით 2—3 სხვადასხვა გვარს ანგარიშს ერთ და იმავე გვერდზე მოათესებულს. შემდეგ ანგარიში კასის წიგნში გადადის, ამაშიც არ არის გატარებული ერთი და იგივე ფორმა თავიდან ბოლომდე. აქაც 3—4 გვარ ფორმას შეხედებით. ამ გვართ წიგნების შენახვის ღირს,

რასაკვირველია, წიგნებს ერთმანეთთან არეულ დარეული კავშირი აქვს; უკეთ რომ ვთქვათ, კავშირი არა აქვს. ამისთვისაც ხდება საჭიროთ, რომ ანგარიშის სისტემა მან ახსნას, ვისი ხელითაც ჩაწერილია.

სარევიზო კამისის უკანაქნელ კრებაზე ეს მოსაზრება შეეიტანე და დავსაკენი: ჩვენს საზოგადოებისათვის, ანგარიში გარკვევით, და, რამდენათაც შესაძლებელია გასაცემათ, უნდა იქნეს ჩაწერილი-მეთქი. ამაზე ორი სარევიზო კამისის წევრი დამეთანხმა, მაგრამ მოხსენებაში მხოლოთ ეს მოიხსენიეს, ყოველგან არ არის სუფთათ და გარკვევით ჩაწერილია; და აღარ ისურვებს ჩემი ნამდვილი შენიშვნის შეტანა; შეიძლება აწი მაინც გეთხირონ ამის მიზეზი. ახლა მოხსენების ფურცელს გადახედეთ: იქ არის ნათქვამი, რომ „პირველ კრებაზე მმართველისაგან წარმოადგენილი ანგარიში ეთანხმება საანგარიშო წიგნების ჯამებს“. ეს საზოგადო თქმა და მიანტერესე წევრებს ვერ უხსნის, რა რას ეთანხმება; ვცით უთვალავი შემთხვევებო, რომ ჯამები ყოველთვის ერთმანეთს ეთანხმებოდნენ, მაგრამ ნამდვილათ იმ ანგარიშს აკლდა. აი, თუ ვინდა ცხვირ-წინ რომ გვიღვია ქუთაისის ხაზინა (სადაც დაცულია მტკიცე ანგარიშის წესები), რამდენსავე წლის განმავლობაში გაქონდათ ფულები უკლები ბარათებით, ჯამები კი სწორი იყო. წარმოადგინეთ ქალაქის სამმართველოში კასსა და ამ კასში გაწინილი თავა. ამ მავალითებით მე პირადათ არაიხე ვეთითებ, არც ამის საბუთი მაქვს, მხოლოთ შეენიშნე მომხდარ ფაქტს და ამით წევრებს ვუერთხილებ, რომ ანგარიშები კარგათ დაიცვან. ამის თქმით სარევიზო კამისის წევრების გამოურკვეველ მოქმედებას უფრო ეხებო. სარევიზო კამისია ამბობს: „საქსოვის და თესლს არაიეთარი მოგება არ შემოუტანიაო“ და ამისთვის საზოგადოებას ეუბნება: „უშჯობებსა ამხანაგობას გარდა არაიეს მიეცეს ნიკაიათ თესლიო“ და საქსოვეების შესახებ ამბობს: „საქსოროა ამ გვეყვალის რიგიანი მსოველი, თუ ძვირათ არ დავიჯდება, ან და დროებით საქსოვის წარმოება შეჩერდესო“. საქსოვეების შესახებ კრების დავდგენილებაში შეენიშნეთ შემდეგი: საქსოვეების შესახებ ვითომ საზოგადოებამ იქონია მსჯელობა და გადაწყვიტა ისე, როგორც დადგენილებაში შეტანილი. საქსოვეების შესახებ კითხვა იყო დაყენებული და თესლს კითხვას შემდეგ უნდა გარჩეულიყო, მაგრამ ეს ფორმა საჭირო კითხვა ჩრდილო ამოათარეს და ჯამაგირების დანიშვნის კითხვა კი თვალწინ გამოგვიგორეს.

ვიტყვით საქსოვეების შესახებ: ჩემის აზრით გვრ

ფშაღმუღი სიყ უსუსური ამნანავობა ბეგრს ებო-
ტინება, ხან აქეთ, ხან იქეთ, მაგრამ ბეგრეს აღარც
იმოდენა სიგრძე-სიგანე აქეს და...; ვადაჭრით რომ
ეთქვათ, საქსოეების წარმოება ჯერ ჩვენ ამნანავობას
არ შეუძლია; ეს იმიტომ, რომ იმდენი ფულის სა-
შუაღმბა, რამდენიც საქსოეებს ჭირდება, არა აქეს
და ახალი საქსოეების შექმნას ჯერ ვერ მოახერხებს.
რადგან მას შეძლება არა აქეს, მეოდნე მქსოველი კა-
ციის მოწვევის ამბავი და სხეები თავის-თავით ჩუმდ-
ბიან; იმნარათ კი, როგორც ახლა იმყოფება საქ-
სოეის, საქმე ამნანავობას არ შეუძლია ის ვააჭრე-
ლოს და ისეთაც სუსტ კასას ზარალით ნუნ შეე-
სუსტებთ! კიდევაც, რომ ქსოვა ძველებურათ—ჩეე-
ნებურათ გვარძელდეს, აქედან ვითომ რა გვიდა მი-
ვილოთ?! ეხედეთ, რომ ქსოვილები, რომელიც ამ-
ნანავობის საქსოეებზე იქსოვება. ბეგრი თვისებებით
უგლახესია ჩენი დედაკაცებისგან ოჯახში გაკეთ-
ებულ ქსოვილებზე. ამანვე დარწმუნდებით, თუ ერთ
და იმავე ღირსების დარაიას შეიძენთ—სოფლურათ
ნაქსოვს და მამინებზე. ეს ორ გვარი დარაია ბა-
რეთ, რიცქეთ და მალე ხელში გექნებათ უტყუარი
საბუთებიც, თუ რა თვისებით განსხვავდებიან ერთი-
მეთისაგან. ამნანავობის საქსოეებზე ნაკეთები დარაიის
პლატაკები სანამდის რეცხვაში ჩაეარდება ბრწყინავს,
მაგრამ რეცხვას შემდეგ პირველი სხივი ეკარება,
იხრუტება—ალაგ-ალაგ, იცრიცება, იშლიება. სამწუხა-
როთ ახლა ხელთ არა მაქვს ფსების სხვა-და სხვა-
ობის ცნობები; ამ საზომით უფრო კარგათ გეზომ-
შევადარებდით ორ გვარი ქსოვილების სიკეთეს.
ვეცე რომ არ იყოს, რათ გევიწყდება, რომ ფაბრი-
კულს ნაწარმოებს დიდი ბაზარო უნდა და ადვილობ-
რივით კი ეს ქსოვილები ბაზარს იერ მოიპოვებენ.
მოიფრეთ, რომ ხალხი დიდი ხნაია ჰყიდის თავის
ნაწარმოების დიდ ნაწილს და სამაგიეროთ იაფ-ფა-
სის ნარმა-მიტკალ-ჩითს ყიდულობს. მამ აქ, მას ბა-
ზარი აღარ აქეს; სიკეთისა და ფასის მიხედვის მხრით
ამას ჯერ შინ ნაქსოეები ეცილება, და ამას გარდა,
ნუხა — მოსკოვის ფაბრიკები ხომ დიდი მოცილე ჰყავს.
ჯერ ქსოვით ჩვენ ციხეს ვერ ავაშენებთ და ფაცხებს
კი დაეანგრეთ, როცა ამნანავობას საშუალება ექნე-
ბა, მაშინ მის წარმოებას შესამჩნევათ წინ წასწევს
პირველი მუშა ხალხის იაფობა და მეორე ნედლა
პარკის დაბალი ადგილობრავი ფასები. ამის შესახებ
შემდეგ მოგეტყობთ რამდენსამე ცნობას.

პასუხებათ ბ-ნ კ. თავართქილაძეს.

ბეგრის“ 22 №-ში გეითხულობ, ბ-ნ კ. თავ-
ართქილაძის წერილს „დაკარგული ხელთ-
ნაწერის გამო“, რომელიც მომხართავს შეე-
დგვის სიტყვებით: „ორი სამი წლის წინათ ერთმა
ახალ-გაზდა პაეტმა, სხვიან დახმარებით, მთავრა, რომ
მისი ლექსები დაბეჭდულა და ჩემი ხარჯით გამომეცა,
ლექსები ენახე, მაგრამ სუსტი გამოდგა, როგორც
პოეზიის მხრივ ისე შინაარსისაო“. რათ დაჭირდა ნე-
ტუი ბ-ნ კ. თავართქილაძეს ასეთი სიტყვების ხმა-
რება, რომ დედაც ეს უკანასკნელი საზოგადო მოვლ-
ნაა. რათ გეუკვირა ჩემი ლექსები, რომ სუსტი ში-
ნაარსისა ყოფილიყო? მე იმას არ ვიტყვი, რომ ჩემი
ლექსები ძვირფასა შინაარსის იყო-მეთქი; მაგრამ
ესეც კი უნდა მოგახსენოთ, ბ-ნ კ. თავართქი-
ლაძეც, არა თქვენ გპირდებოდით ასეთი სიტყვე-
ბის ხმარება.

ვიმეორებ, რა საკურველი იყო რომ ჩემი ლექ-
სები სუსტი ყოფილიყო, ის იყო ჩემი პირველი ნა,
ბიჯი და კალმის ხელში აღება (ისეც 22 წლამდინ).
ამასთანავე მე სრულიად უსწავლელი კაც ვარ და
ცოტათ თუ ბეგრათ მაინც ჩახედული ვარ ბეგრე-
გაპირებულ ხალხის გულში. ესეც უნდა დაეუფატო,
რომ თუ ჩემი ნაწერები სუსტი შინაარსის იყო და
თქვენ ვერ სცნით ღირსათ დაბეჭდვისა ისე უკან
რათ არ დამბრუნებთ?! ახლა კი ბრძანათ: „გ. წე-
რეთელი აქ რა შუაშია“—ო. ეს მე უთქვენოთაც კარ-
გათ ვიცოდი, რომ გ. წერეთელი აქ შუაში არ იყო.
ამბობთ: „კვალის“ რედაქციისათვის პირობა არ ჩა-
მოიპირთმევი, როცა რეველი გადავეციო. მევე ვინ
არის აქ დამნაშავე? იქნება ჰუიქობდეთ, კვალის“
რედაქცია იყოს. სრულიადაც არა, აქ დამნაშავე ისევე
თქვენა ხართ, ამისათვის, რომ ნუ თუ არ იცოდით
სამი-ოთხი წლით ნაწერებში გადაცემა არც ერთ რე-
დაქციანე უპირობოთ არ შეიძლება. მაგრამ ამის-
თანა ხრცვები, თქვენ არა მარტო ჩემთან დამგართი-
ათ, არამედ ბეგრი ახალ-გაზდა მწერლები გყავსთ ასე
მოტყუებულნი.

მე ახლა ბ-ნ კ. თავართქილაძეც იძულებული
ვარ, უკანასკნელი სიტყვა მოგახსენოთ! იმ დროის
ჩემი ნაწერების (დაბეჭდილ და დაუბეჭველები, რა-
მელებიც ნახევარი მე მაქვს, და ნახევარი თქვენ ვალ-
მოვცით), უფარგისობის დასამტკიცებლათ და
თქვენი კანდიფიკ ტექნიკათვის, ამოფარჩითოთ ქ-
თისში ორი-სამი ისეთი ვინმე, რომელსაც სამართ-
ლიან მსჯავრის დასდებენ ჩვენ ორ-შუა-
დაწვეუტოლების თანახმა გავხდები. პირ-
დაწვეუტოლების თანახმა გავხდები. პირ-
უნდა იქნეს, რომელსაც თქვენ ბრძანე ახვისნი
შეწვევებით გადმოშვოთ, ე. ი. მელოტან აღუბამე
და ორი-სამი ცხვა.

(შემდეგი აქნება)

გამა-წიანამელი.

რედაქტორ-გამომგებელი ან. თ.-წერეთელი.